



ხარისხის მართვა

სასწავლო მიზნები

ამ თავის შესწავლის შემდეგ თქვენ შეძლებთ:

	სასწავლო პროგრამის განყოფილება
ახსნათ აუდიტისა და სხვა სახის მარწმუნებელი გარიგებების ხარისხის მართვის პრინციპები და მიზანი.	გ1(ა)
აღწეროთ ამა თუ იმ კონკრეტული ფირმის ხარისხის მართვის სისტემის ელემენტები.	გ1(ბ)
შეაფასოთ კონკრეტული ფირმის ხარისხის მართვის სისტემა, მათ შორის, გამოავლინოთ ნაკლოვანებები და მათი გავლენა, ასევე შეაფასოთ, გამოიყენებოდა თუ არა სათანადო ხარისხის მართვა მოცემულ გარიგებაში.	გ1(გ)

ბიზნესისა და გამოცდის კონტექსტი


აუდიტორების ვალდებულება საზოგადოების მნიშვნელოვანი ინტერესების სასარგებლოდ მოქმედებაა. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დამოუკიდებელი აუდიტის ხარისხს, როგორც მომხმარებლებისთვის, ისე ზოგადად – აუდიტის პროფესიისთვის. აუდიტის არადამაკმაყოფილებელი ხარისხი ზიანს აყენებს ფირმის რეპუტაციას, შესაძლოა გამოიწვიოს დამკვეთების დაკარგვა და, მაშასადამე, პროფესიული საზღაურის დაკარგვაც, შედეგად, შესაძლოა გაიზარდოს სასამართლოს რისკი და მასთან დაკავშირებული პროფესიული დაზღვევის დანახარჯები.

მართალია, არსებობს სპეციალური სტანდარტები, რომლებიც მოიცავს მითითებებს იმის თაობაზე, როგორ უნდა შეასრულონ აუდიტორებმა თავიანთი სამუშაო დამაკმაყოფილებელი ხარისხით, მაგრამ შესაძლოა სათანადო ხარისხის მიღწევა ყოველთვის არ იყოს შესაძლებელი. აუდიტის ხარისხის ზოგად ასპექტებს არეგულირებს ხმს 1 – „ხარისხის მართვა ფირმებისთვის, რომლებიც ასრულებენ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს ან მიმოხილვას, ან სხვა სახის მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების გარიგებებს“.

ფირმის დონეზე ხარისხის მართვასთან დაკავშირებული საკითხები პროფესიულ და ეთიკურ მოსაზრებებს საუკეთესოდ აკავშირებს ერთმანეთთან და ეს საკითხები ხარისხის მართვის საკითხებისგან ცალკეული აუდიტის დონეზე უნდა გაიმიჯნოს, რისი ცოდნაც გამოცდაზე, სავარაუდოდ, შემოწმდება აუდიტის დასრულების სტადიაზე ასს 220-ის (გადასინჯული) მიხედვით (იხ. მე-10 თავი).

თქვენ შეიძლება გთხოვონ ხარისხის მართვის პროცედურების დასახელება, რომლებიც ფირმამ უნდა დანერგოს კონკრეტულ გარემოებებში, ან ფირმის პროცედურების მიმოხილვა და მათი ადეკვატურობის შეფასება. ფირმის დონეზე ხარისხის მართვის საკითხების ცოდნის შემოწმება შესაძლებელია როგორც საგამოცდო მასალის „ა“ განყოფილებაში, ისე „ბ“ განყოფილებაში.

თავის მიმოხილვა



1. ხმს 1 – „ხარისხის მართვა ფირმებისთვის, რომლებიც ასრულებენ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს ან მიმოხილვას, ან სხვა სახის მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების გარიგებებს“.



სავარჯიშო 1: ხარისხს აქვს მნიშვნელობა?

ხარისხის მართვა აუდიტორული ფირმებისთვის ერთ-ერთი უმთავრესი საკითხია. რატომ სურთ ან რისთვის სჭირდებათ ფირმებს ხარისხის მართვა?

ამოხსნა:

2. ფირმის ხარისხის მართვის სისტემის კომპონენტები

ფირმის ხარისხის მართვის სისტემა უნდა მოიცავდეს ისეთ პოლიტიკასა და პროცედურებს, რომლებიც ქვემოთ ჩამოთვლილ თითოეულ კომპონენტს ეხება:

- ა) ფირმის რისკის შეფასების პროცესი;
- ბ) მმართველობა და ხელმძღვანელობა;
- გ) სათანადო ეთიკური მოთხოვნები;
- დ) დამკვეთთან ურთიერთობაზე ან კონკრეტულ გარიგებაზე დათანხმება, ან დამკვეთთან ურთიერთობის ან კონკრეტული გარიგების გაგრძელება;
- ე) გარიგების შესრულება;
- ვ) რესურსები;
- ზ) ინფორმაცია და კომუნიკაცია; და
- თ) მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესი.

(ხმს 1, მე-6 პუნქტი)

2.1 ფირმის რისკის შეფასების პროცესი

ხმს 1-ის 23-ე პუნქტში ახსნილია რისკის შეფასების პროცესი, რომელსაც ფირმა ახორციელებს ხარისხის მართვის მიზნებისთვის, რაც ძალიან ჰგავს იმ მეთოდს, რომლის მეშვეობითაც საწარმო აფასებს და მართავს რისკებს.

- ფირმა ადგენს ხარისხის მიზნებს ხარისხის მართვის სისტემის თითოეული კომპონენტისთვის;
- შემდეგ ავლენს და აფასებს ხარისხის რისკებს, რომლებიც ხელს უშლის ამ მიზნების მიღწევას;
- შემდეგ განსაზღვრავს და ატარებს საპასუხო ზომებს თითოეულ ამ ხარისხის რისკზე რეაგირებისთვის, რასაც, როგორც წესი, მოჰყვება გარკვეული პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავება, რომლებიც მთლიანობაში წარმოქმნის ხარისხის მართვის სისტემას.

ფირმის მიერ განსაზღვრული **ხარისხის მიზნები** არ უნდა მოიცავდეს მხოლოდ ხმს 1-ში განხილულ მიზნებს, არამედ უნდა მოიცავდეს სხვა მიზნებსაც, რომლებსაც ფირმა აუცილებლად მიიჩნევს თავისი ხარისხის მართვის სისტემის მიზნების მისაღწევად.

როდესაც გამოვლინდება შესაფერისი **ხარისხის რისკები**, ფირმამ უნდა განიხილოს ნებისმიერი რამ, რასაც შეუძლია უარყოფითი გავლენის მოხდენა ამ ხარისხის მიზნების მიღწევაზე, მათ შორის ფაქტორები, რომლებიც დაკავშირებულია:

- ფირმის ხასიათსა და გარემოებებთან (როგორიც არის სირთულე, მმართველობის სტილი, რესურსები და საკუთრება);
- **ფირმის მიერ შესრულებული გარიგებების** ხასიათსა და გარემოებებთან (როგორიც არის, მაგალითად გარიგების ტიპი, სუბიექტის ტიპი და მოთხოვნილი დასკვნები/ანგარიშები).

ზოგ შემთხვევაში ხარისხის მიზნების მიღწევაზე შესაძლოა იმოქმედოს **სხვა რისკებმაც**, რომლებიც უშუალოდ არ მიიჩნევა ხარისხის რისკებად. მაგალითად, ფირმის ბიზნესსტრატეგიის თანახმად შესაძლოა მისი ფინანსური მიზნები დამოკიდებული იყოს დამკვეთებისთვის ისეთი მომსახურების გაწევაზე, რომელიც არ განეკუთვნება ხარისხის მართვის სტანდარტის მოქმედების სფეროს. ეს შეიძლება იმას ნიშნავდეს, რომ ფირმის რესურსები პრიორიტეტული იქნება ამ მომსახურებისთვის, რაც უარყოფით გავლენას იქონიებს იმ გარიგებების ხარისხზე, რომლებსაც ხმს 1 არეგულირებს. აქედან გამომდინარე, რისკის შეფასების პროცესი აუცილებლად გულმოდგინედ უნდა იყოს შემუშავებული, რათა ყველა სათანადო რისკი მოიცვას (ეს არის **გრადაციის** ერთ-ერთი მაგალითი: რისკის შეფასება სხვადასხვანაირი იქნება ფირმების სტრუქტურისა და ორგანიზაციული წყობის მიხედვით).

შემდეგ ფირმა შეიმუშავებს **საპასუხო ზომებს** თითოეულ შეფასებულ რისკზე რეაგირებისთვის და ასევე დანერგავს შესაფერის პოლიტიკასა და პროცედურებს. თუ ამ პროცესის შედეგად ხარისხის მიზნებთან, რისკებთან და საპასუხო ზომებთან დაკავშირებით დამატებით ინფორმაცია გამოვლინდება, უნდა გატარდეს სათანადო საპასუხო ზომები (რათა შეიცვალოს რისკებისთვის უკვე მინიჭებული შეფასება, ან იმისთვის, რომ შეფასდეს ახალი რისკები) (ხმს 1, პუნქტები: 23-27-ე, გ39, გ46).

ჩვენ საპასუხო ზომებს განვიხილავთ ხარისხის მართვის სისტემის თითოეული დანარჩენი კომპონენტის კონტექსტში, მაგრამ ჯერ შეგახსენებთ, რომ ხმს 1-ის 34-ე პუნქტში ჩამოთვლილია ზოგიერთი **კონკრეტული საპასუხო ზომა**, რომლებიც საჭიროებს შემდეგი პოლიტიკისა და პროცედურების განსაზღვრას და დანერგვას ფირმაში:

- **სათანადო ეთიკური მოთხოვნების** მიმართ შექმნილი საფრთხეებისა და **სათანადო ეთიკური მოთხოვნების** დარღვევის შემთხვევების გამოვლენა, შეფასება და მათზე რეაგირება;
- პერსონალის მიერ **დამოუკიდებლობის მოთხოვნების** დაცვის წერილობით დადასტურება ყოველწლიურად;
- ნებისმიერი საჩივრის ან ბრალდების საკითხის მოგვარება/გადაჭრა, რომელიც ეხება **პროფესიული სტანდარტების**, შესაფერისი **საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელი მოთხოვნების ან ფირმის პოლიტიკისა და პროცედურების** დარღვევას;
- გარიგებაზე დათანხმების შემდეგ **დამკვეთებთან ურთიერთობის** შესახებ მიღებული ინფორმაციის მართვა;
- **გარე მხარეებთან** კომუნიკაციის პროტოკოლები (როგორიც არის, მაგალითად საფონდო ბირჟაზე კოტირებული სუბიექტების მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან დადასტურება იმ ფაქტის, რომ ფირმის ხარისხის მართვის სისტემამ ხელი შეუწყო აუდიტის ხარისხის ამაღლებას);
- ისეთი გარიგებების იდენტიფიცირება, რომლისთვისაც სავალდებულოა **გარიგების ხარისხის მიმოხილვის** ჩატარება ხმს 2-ის – „**გარიგების ხარისხის მიმოხილვა**“ – მიხედვით (ამ საკითხს უფრო დეტალურად მოგვიანებით განვიხილავთ ამავე თავში).

2.2 მმართველობა და ხელმძღვანელობა

ფირმამ უნდა უზრუნველყოს ხარისხის მართვის სისტემის შექმნა, დანერგვა და ფუნქციონირება პროფესიული განსჯის საფუძველზე. ამის მიღწევა შესაძლებელია **ხარისხის მართვასთან** დაკავშირებული **კონკრეტული პასუხისმგებლობების განაწილებით** გარკვეულ თანამშრომლებზე:

მაგალითად:

- **საბოლოო პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება** ხარისხის მართვის სისტემაზე უნდა დააკისროს ფირმის მთავარ აღმასრულებელ პირს ან ფირმის მმართველ პარტნიორს ან, შესაბამის შემთხვევაში, ფირმის პარტნიორთა მმართველ საბჭოს;
- **ოპერატიული პასუხისმგებლობა** უნდა დააკისროს სხვა თანამშრომლებს, მათ შორის, ხარისხის მართვის სისტემის ცალკეულ ასპექტებზე: დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაცვაზე და მონიტორინგისა და რეგულაციის პროცესზე.

ივარაუდება, რომ ნებისმიერი ფუნქციების შესრულება დაევალებათ ისეთ თანამშრომლებს, რომლებსაც აქვთ შესაფერისი გამოცდილება, ცოდნა, გავლენა და უფლებამოსილება ფირმაში; მათ კარგად აქვთ გაცნობიერებული თავიანთი როლი და ესმით, რომ ანგარიშვალდებულები არიან მის შესრულებაზე, ამასთან საკმარისი დრო აქვთ დაკისრებული პასუხისმგებლობის შესასრულებლად. (ხმს 1, 20-22-ე პუნქტები)

ხარისხის მართვა არ მიიჩნევა ფირმის რაიმე იზოლირებულ საქმიანობად. ხარისხის მართვა **კულტურული ფაქტორია**, რომელიც აერთიანებს ფირმის სტრატეგიის, საქმიანობისა და პროცესების ყველა ასპექტს ერთ ვალდებულებაში – ხარისხისადმი ერთგულებაში, რომელიც მთელ ფირმაზე ვრცელდება (ხმს 1: პუნქტი გ30).

ფირმამ უნდა დაადგინოს ხარისხის ისეთი მიზნები, რომლებიც დაკავშირებულია მმართველობასა და ხელმძღვანელობასთან და უზრუნველყოფს ხარისხის მართვის სისტემის ფუნქციონირებას ისეთი კულტურის მეშვეობით, რომელიც აღიარებს:

- ხარისხის მნიშვნელობას, როგორც საზოგადოების ინტერესების დაცვის საკითხში ფირმის როლის განუყოფელ ნაწილს;
- პროფესიული ეთიკის, ღირებულებებისა და ქცევის მნიშვნელობას;
- ხარისხზე ფირმის მთელი პერსონალის პასუხისმგებლობას;
- ხარისხის მნიშვნელობას ფირმის სტრატეგიულ გადაწყვეტილებებსა და ქმედებებში, მათ შორის ფირმის ფინანსურ და საოპერაციო პრიორიტეტებში (სტანდარტში აღნიშნულია, რომ ფირმის რესურსები, მათ შორის ფინანსური რესურსები უნდა გამოიყენებოდეს ფირმის ხარისხის მართვის სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით, რაც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ხარისხი ფირმის საქმიანობის განუყოფელი ნაწილია) (ხმს 1: 28-ე პუნქტი)

2.3 სათანადო ეთიკური მოთხოვნები

ფირმამ უნდა დაადგინოს ხარისხის მიზნები, რომლებიც უზრუნველყოფს მას დასაბუთებული რწმუნებით იმის შესახებ, რომ ფირმას და მის პერსონალს ნათელი წარმოდგენა აქვთ სათანადო ეთიკურ მოთხოვნებზე, რომლებიც მათ ეხება და ისინი ასრულებენ იმ სათანადო ეთიკურ მოთხოვნებთან დაკავშირებულ თავიანთ პასუხისმგებლობებს, რომლებიც ვრცელდება ფირმასა და ფირმის გარიგებებზე (როგორც განხილული იყო მე-2 თავში)

ფირმის ხარისხის მიზნებში ყურადღება გამახვილებული უნდა იყოს ბესს-ის ეთიკის კოდექსის ძირითად პრინციპებზე (ან სხვა შესაფერისი კოდექსის მოთხოვნებზე, როგორიც არის, მაგალითად გაერთიანებული სამეფოს ფინანსური ანგარიშგების საბჭოს „განახლებული ეთიკის სტანდარტი“). სტანდარტში ასევე ახსნილია, რომ კონკრეტული ფირმის ხარისხის მართვის სისტემა შესაძლოა ითვალისწინებდეს იმაზე უფრო სპეციფიკურ საკითხებს, ვიდრე სათანადო ეთიკური მოთხოვნების დებულებებია ან საერთოდ არ არის გათვალისწინებული ამგვარ დებულებებში. მაგალითად:

- აკრძალულია ყველანაირი საჩუქრისა და სტუმარმასპინძლობის მიღება, მათი ღირებულების ან მნიშვნელობის მიუხედავად;
- გარკვეულ გარიგებებთან დაკავშირებული როტაციის მოთხოვნები შესაძლებელია უფრო განვრცობილი იყოს და გარიგების პარტნიორის გარდა ეხებოდეს გარიგების გუნდის სხვა უფროს წევრებსაც. (ხმს 1: პუნქტები: 29-ე, გ 63)

2.4 დამკვეთთან ურთიერთობაზე ან კონკრეტულ გარიგებაზე დათანხმება, ან დამკვეთთან ურთიერთობის ან კონკრეტული გარიგების გაგრძელება

ფირმამ უნდა დაადგინოს ხარისხის მიზნები, რომლებიც ეხება დამკვეთთან ურთიერთობაზე ან კონკრეტულ გარიგებაზე დათანხმებას, ან დამკვეთთან ურთიერთობის ან კონკრეტული გარიგების გაგრძელებას და უნდა ითვალისწინებდეს შემდეგ საკითხებს:

- ინფორმაცია, რომელიც მოპოვებულია დამკვეთის, მისი ხელმძღვანელობის და, შესაბამის შემთხვევაში, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პატიოსნებისა და ეთიკური ღირებულებების შესახებ, გათვალისწინებული იქნება „დათანხმებისა და გაგრძელების“ შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას (ეს შეიძლება მოიცავდეს ისეთ ფაქტორებს, როგორიც არის, მაგალითად დამკვეთის მოლოდინი დაბალი საზღაურის შესახებ ან ინდიკატორები იმისა, რომ ისინი შეიძლება მონაწილეობდნენ ფულის გათეთრებაში);
- გარიგების ხასიათის შესახებ მოპოვებულმა სხვა ინფორმაციამ შესაძლოა გავლენა იქონიოს „დათანხმებისა და გაგრძელების“ გადაწყვეტილებაზე, მაგალითად, თუ „სხვა ინფორმაცია“ არის ინტეგრირებული ანგარიში, რომელიც მოითხოვს სპეციალიზებულ ცოდნასა და გამოცდილებას;
- ფირმას შეუძლია თუ არა მოცემული გარიგების შესრულება მოქმედი საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელი მოთხოვნების და პროფესიული სტანდარტების შესაბამისად (მაგალითად, ფირმას აქვს თუ არა რესურსებისა და გამოცდილების სათანადო დონე, ესაჭიროება თუ არა დამატებითი ცოდნა და გამოცდილება ან ტექნოლოგიები და მოითხოვება თუ არა გარიგების ხარისხის მიმოხილვის ჩატარება);
- „დათანხმებისა და გაგრძელების“ გადაწყვეტილებები არ ეყრდნობა მხოლოდ ფინანსურ ან საოპერაციო პრიორიტეტებს.

ფინანსური და საოპერაციო პრიორიტეტები, რომელიც ნახსენებია ბოლო პუნქტში, საკმაოდ მნიშვნელოვანი გამოწვევაა ფირმებისთვის. ამ საკითხებთან დაკავშირებული ხმის 1-ის ინფორმაცია ასახავს სწორედ რეალურ სამყაროში არსებულ პრობლემებს, რომელსაც დღეს პროფესიონალი ბუღალტრების ფირმები აწყდებიან. ეს პრიორიტეტები შეიძლება შეესაბამებოდეს ფირმის ბიზნესსტრატეგიას ან მომგებიანობის დონესთან დაკავშირებულ ფირმის მიზნებს, მაგრამ თუ დამკვეთი პატიოსანი არ არის, ფირმა არ უნდა დაეთანხმოს გარიგებას ან არ უნდა გააგრძელოს გარიგება. თუ ფირმა ისეთ საზღაურს მოითხოვს, რომელიც, სავარაუდოდ, ამ გარიგების შესასრულებლად საჭირო დანახარჯებზე ნაკლებია, ეს ფირმას ხელს შეუშლის პროფესიული სტანდარტების მოთხოვნების შესრულებაში, რაც ზიანს მიაყენებს ხარისხსაც. ხმის 1 აშკარად გულისხმობს, რომ ფირმები ხარისხის მართვის საკითხს კომპლექსურად განიხილავენ. (ხმის 1, პუნქტები: 30-ე, 667-გ74).

2.5 გარიგების შესრულება

ფირმამ უნდა დაადგინოს ხარისხის მიზნები, რომლებიც განკუთვნილია ხარისხიანი გარიგებების შესრულებასთან.

- გარიგების გუნდის ყველა წევრს (მათ შორის, გარიგების პარტნიორს) გაცნობიერებული აქვთ და ასრულებენ თავიანთ პასუხისმგებლობებს, რომლებიც დაკავშირებულია ცალკეული გარიგების ხარისხის მართვასა და გარიგების ხარისხის უზრუნველყოფასთან;
- გარიგების გუნდების ხელმძღვანელობის, ზედამხედველობისა და მათ მიერ შესრულებული სამუშაოს მიმოხილვის პასუხისმგებლობები განაწილებულია და სრულდება გარიგებისა და ხელმისაწვდომი რესურსების შესაბამისად;
- გარიგების გუნდები ახორციელებენ სათანადო დონის პროფესიულ განსჯას და მოქმედებენ სათანადო დონის სკეპტიციზმით;
- რთულ ან სადავო საკითხებთან დაკავშირებით ტარდება კონსულტაციები და გამოტანილი შეთანხმებული დასკვნები პრაქტიკაში რეალიზდება;
- ფირმა დამაკმაყოფილებლად აგვარებს გარიგების პერსონალსა და გარიგებაში მონაწილე სხვა პირებს (მაგალითად, გარიგების ხარისხის მიმოხილველს) შორის წარმოქმნილ აზრთა სხვადასხვაობას;
- გარიგების დოკუმენტაციის დაკომპლექტება დროულად ხდება და ინახება კანონმდებლობის, სათანადო ეთიკური მოთხოვნების ან პროფესიული სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. (ხმის 1, 31-ე პუნქტი)

2.5.1 ხმს 2 – „გარიგების ხარისხის მიმოხილვა“

სტანდარტში გარიგების ხარისხის მიმოხილვა განხილულია ფირმის რისკის შეფასების პროცესის კონტექსტში, რომელიც განკუთვნილია ხარისხის რისკებზე რეაგირებისთვის კონკრეტული საპასუხო ზომების განსაზღვრად. ახლა გავიხსენოთ გარიგების ხარისხის მიმოხილვის განმარტება, რომელსაც ითვალისწინებს ხმს 2 – „გარიგების ხარისხის მიმოხილვა“:

„გარიგების ხარისხის მიმოხილვა არის გარიგების გუნდის ყველა მნიშვნელოვანი განსჯისა და ამის საფუძველზე გამოტანილი დასკვნების ობიექტური შეფასება. გარიგების ხარისხის მიმოხილველი ზემოაღნიშნული მნიშვნელოვანი განსჯის შეფასებას ახორციელებს პროფესიული სტანდარტებისა და შესაფერისი საკანონმდებლო თუ სხვა მარეგულირებელი მოთხოვნების გათვალისწინებით. თუმცა, გარიგების ხარისხის მიმოხილვა არაა გამიჯნული იმის შესაფასებლად, მთლიანობაში გარიგება შეესაბამება თუ არა პროფესიულ სტანდარტებსა და შესაფერის საკანონმდებლო თუ სხვა მარეგულირებელ მოთხოვნებს, ან ფირმის პოლიტიკასა და პროცედურებს“.

ხმს 2 შეიცავს გრადაციასთან დაკავშირებულ მოსაზრებებს: მაგალითად, გარიგების ხარისხის მიმოხილველის პროცედურები, სავარაუდოდ, უფრო ნაკლებად ფართო იქნება ისეთი გარიგებებისთვის, რომლისთვისაც ნაკლები რაოდენობის მნიშვნელოვანი განსჯა დასჭირდათ გარიგების გუნდის წევრებს. (ხმს 2, პუნქტები: მე-4, მე-8).

ხმს 2-ს ერთი მიზანი აქვს, რომელიც განმარტავს, რისთვის არის განკუთვნილი სტანდარტი:

„ფირმის მიზანია, უფლებამოსილი გარიგების ხარისხის მიმოხილველის დანიშვნის მეშვეობით, უზრუნველყოს გარიგების გუნდის ყველა მნიშვნელოვანი განსჯისა და ამის საფუძველზე გამოტანილი დასკვნების ობიექტური შეფასება“. (ხმს 2, მე-12 პუნქტი)

გარიგების ხარისხის მიმოხილვის ჩატარება კანონმდებლობით მოითხოვება შემდეგი სუბიექტების აუდიტის გარიგებისთვის:

- საფონდო ბირჟაზე კოტირებული სუბიექტები და საზოგადოებრივი დაინტერესების პირები;
- სუბიექტები, რომლებიც საქმიანობენ სახელმწიფო სექტორში, ფინანსდებიან სახელმწიფოს მიერ, ან საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული სუბიექტები არიან;
- სუბიექტები, რომლებიც საქმიანობენ გარკვეულ დარგებში (მაგ., საფინანსო დაწესებულებები, როგორცაა ბანკები, სადაზღვევო კომპანიები და საპენსიო ფონდები);
- სუბიექტები, რომლებიც აკმაყოფილებენ აქტივებისთვის დადგენილ გარკვეულ ზღვარს, ან იმყოფებიან სასამართლოს ან სასამართლო პროცესის მართვის ქვეშ (მაგ., ლიკვიდაცია).

გარიგების ხარისხის მიმოხილვის ჩატარება ისეთ სიტუაციებშიც სავალდებულოა, როდესაც ფირმა მიმოხილვას მიიჩნევს ერთ ან რამდენიმე ხარისხის რისკზე რეაგირების შესაფერის საპასუხო ზომად (ხმს 1, პუნქტი გ134). ამ კატეგორიას მიეკუთვნება შემდეგი სუბიექტები/გარიგებები:

- იმ დარგების სუბიექტები, რომლებსაც მაღალი დონის სირთულე ახასიათებს ან რომლებიც მაღალი დონის უნარების გამოყენებას ან განსჯას საჭიროებს, როგორც არის, მაგალითად სამთომომპოვებელი დარგის სუბიექტი, ან სუბიექტი, რომელსაც ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული პრობლემები აქვს;
- გარიგებები, სადაც პრობლემები გამოვლინდა, მაგალითად, მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები შიდა კონტროლის სისტემაში ან არსებითი უზუსტობები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული შესადარისი ინფორმაციის გადაანგარიშებაში;
- გარიგებები, რომელთან დაკავშირებითაც უჩვეულო გარემოებები გამოვლინდა ფირმის მიერ „დათანხმებისა და გაგრძელების“ პროცედურების ჩატარებისას (მაგ., ახალი დამკვეთი, რომელსაც უთანხმოება ჰქონდა წინამორბედ აუდიტორთან);
- ახალდმოცემული დარგების სუბიექტები, სუბიექტები, რომელთა მიმართაც შენიშვნები იყო გამოთქმული მარეგულირებელი ორგანოების მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში და სხვა სუბიექტები, რომელსაც ახასიათებს საზოგადოებრივი დაინტერესების გარკვეული ასპექტი.

ხმს 2-ის მიზანში ნახსენებია „უფლებამოსილი გარიგების ხარისხის მიმოხილველი“. ახლა განვიხილოთ, ვინ შეიძლება იყოს ეს უფლებამოსილი პირი. სტანდარტში ახსნილია, რომ „ამ პირს უნდა გააჩნდეს სათანადო კომპეტენცია და შესაძლებლობები, მათ შორის საკმარისი დრო და სათანადო უფლებამოსილება გარიგების ხარისხის მიმოხილვის ჩასატარებლად“, მაგრამ ის ამავე დროს უნდა იცავდეს სათანადო ეთიკურ მოთხოვნებსაც (როგორც არის, მაგალითად, ორწლიანი აკრძალვის პერიოდი გარიგების

პარტნიორად ყოფნის პერიოდსა და გარიგების ხარისხის მიმომხილველის როლის შესრულებას შორის) (ხმსს 2, პუნქტები: მე-17-19).

გარიგების ხარისხის მიმომხილველ ტარდება მთელი გარიგების მიმდინარეობისას, ფირმის მიერ დამტკიცებული პოლიტიკისა და პროცედურების შესაბამისად. კერძოდ, გარიგების მიმომხილველს გარიგების მიმომხილვის ჩატარებისას ევალება:

- ფირმისა და გარიგების გუნდის მიერ ფირმის მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესის ფარგლებში მიწოდებული იმ ინფორმაციის კარგად გააზრება, რომელიც ეხება გარიგების მიმდინარეობას;
- გარიგების პარტნიორთან და, საჭიროების შემთხვევაში, გარიგების გუნდის სხვა წევრებთან ერთად მნიშვნელოვანი საკითხებისა და ნებისმიერი მნიშვნელოვანი განსჯის განხილვა, რომელიც განხორციელდა გარიგების დაგეგმვისა და ჩატარების პროცესში და გარიგების შესახებ დასკვნის/ანგარიშის მომზადებისას;
- გარიგების დოკუმენტაციიდან შერჩეული დოკუმენტების მიმომხილვა, რომლებიც ეხება გარიგების გუნდის მნიშვნელოვან განსჯას, მტკიცებულებების მოსაპოვებლად პროფესიული სკეპტიციზმის, დოკუმენტაციასთან გამოტანილი დასკვნების შესაბამისობისა და ამ დასკვნების ადეკვატურობის შესახებ;
- იმის შეფასება, დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული სათანადო ეთიკური მოთხოვნები შესრულებულია თუ არა და ჩატარდა თუ არა სათანადო კონსულტაციები რთულ ან სადავო საკითხებთან დაკავშირებით;
- დასკვნების/ანგარიშების და განსახილველი საგნის ინფორმაციის მიმომხილვა;
- აუდიტის გარიგებებისთვის იმის შეფასება, გარიგების შესრულებაში გარიგების პარტნიორის მონაწილეობა იყო თუ არა საკმარისი და ადეკვატური.

გარიგების პარტნიორს ეკრძალება გარიგების დასკვნის/ანგარიშის დათარიღება მანამ, სანამ შეტყობინებას არ მიიღებს გარიგების ხარისხის მიმომხილველისგან, რომ დასრულდა გარიგების ხარისხის მიმომხილვა. თუმცა, შესაძლოა პრობლემებმა იჩინოს თავი იმ შემთხვევაში, თუ გარიგების გუნდის მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი განსჯა ან ამის საფუძველზე გამოტანილი დასკვნები არ იყო ადეკვატური. მაშინ გარიგების ხარისხის მიმომხილველი გარიგების პარტნიორს აცნობებს ამის შესახებ და ვარაუდობს, რომ გადაჭრიან ამ პრობლემებს. თუ საკითხი არ მოგვარდება, გარიგების ხარისხის მიმომხილველი ფირმაში სათანადო პირს აცნობებს იმის შესახებ, რომ შეუძლებელია გარიგების ხარისხის მიმომხილვის დასრულება. ზოგ შემთხვევაში ამასთან დაკავშირებით შესაძლოა კონსულტაციის გავლა გახდეს საჭირო ფირმის გარე მხარესთან (როგორც არის, მაგალითად მარეგულირებელი ორგანო ან პროფესიული ორგანიზაცია). (ხმსს 2, პუნქტები: 24-27-ე)

2.6 რესურსები

„ფირმამ უნდა დაადგინოს ხარისხის მიზნები, რომლებიც ეხება რესურსების დროულად მოძიებას, განვითარებას, გამოყენებას, შენარჩუნებას, განაწილებასა და გადაცემას, რათა უზრუნველყოს ხარისხის მართვის სისტემის შექმნა, დანერგვა და ფუნქციონირება“. (ხმსს 1, 32-ე პუნქტი)

ფირმის განკარგულებაში შეძლება იყოს შემდეგი ტიპის რესურსები:

- ადამიანური რესურსები;
- ტექნოლოგიური რესურსები;
- ინტელექტუალური რესურსები;
- მომსახურების პროვაიდერები.

მოდიტ, პირველ რიგში, ყურადღება გაავამახვილოთ **ადამიანურ რესურსებზე**, რადგან ხარისხის მრავალი მიზანი არსებობს, რომელიც გარიგების შესრულებაში მონაწილე მთელ პერსონალს ეხება, მათ შორის, პერსონალის კომპეტენციას, შესაძლებლობებს, ცოდნასა და გამოცდილებას. პერსონალს ასევე მოეთხოვება ხარისხისადმი თავისი ერთგულების დემონსტრირება საკუთარი ქმედებებით, ხოლო მათი ანგარიშვალდებულების განსაზღვრა ან აღიარება ხდება სხვადასხვა მექანიზმის მეშვეობით, როგორც არის, მაგალითად მათი მუშაობის შეფასება, ანაზღაურება, დაწინაურების პოლიტიკა და სხვა წამახალისებელი საშუალებები. თუმცა, თუ პერსონალის ქცევა უარყოფითად იმოქმედებს ხარისხზე, შესაბამისმა საპასუხო

ზომებმა შესაძლოა გავლენა მოახდინოს ამ მექანიზმებზე, ან გამოიწვიოს პერსონალის დამატებითი სწავლების/გადამზადების ანდა დისციპლინარული ზომების გატარების აუცილებლობა. პერსონალს უნდა მიეცეს საკმარისი დრო, რათა იმოქმედონ ფირმის ხარისხის მართვის სისტემის მოლოდინების შესაბამისად. თუ ფირმას არ აქვს საკმარისი ადამიანური რესურსი, მას რესურსის მოპოვება შეუძლია ფირმის გარედან, იმ შემთხვევაში, თუ ამ პირებს ექნებათ სათანადო დონის შესაძლებლობები და კომპეტენცია.

სავარჯიშო 2: შესაძლებლობები და კომპეტენცია

დაასახელეთ ხარისხის მართვის შესაბამისი პროცედურების მაგალითები, რომლებიც განკუთვნილია იმის უზრუნველსაყოფად, რომ ფირმის პერსონალს ჰქონდეს აუცილებელი შესაძლებლობები და კომპეტენცია.

ამოხსნა:

2.6.1 ტექნოლოგიური და ინტელექტუალური რესურსები

ხმს 1-ის 32-ე პუნქტის (ვ) და (ზ) ქვეპუნქტების თანახმად, ფირმა მოიპოვებს სათანადო ტექნოლოგიურ და ინტელექტუალურ რესურსებს, ან ქმნის, ნერგავს, ამუშავებს (ინარჩუნებს) და იყენებს იმ მიზნით, რომ უზრუნველყონ ფირმის ხარისხის მართვის სისტემის ფუნქციონირება და გარიგებების შესრულება.

ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რას ნიშნავს ეს რესურსები სინამდვილეში, რათა გავიგოთ, რა პოლიტიკა და პროცედურები უნდა დანერგოს ფირმამ იმისთვის, რომ მიაღწიოს ხარისხის აუცილებელ მიზნებს.

სავარჯიშო 3: ტექნოლოგიური და ინტელექტუალური რესურსები

თქვენი აზრით, რა არის ტექნოლოგიური და ინტელექტუალური რესურსები და როგორ არის ისინი ინტეგრირებული ფირმის ხარისხის მართვის სისტემის მუშაობასა და გარიგებების შესრულებაში?

ამოხსნა:

2.6.2 მომსახურების პროვაიდერები

შესაძლებელია, რომ ფირმამ გადაწყვიტოს ადამიანური, ტექნოლოგიური და ინტელექტუალური რესურსების მოპოვება მომსახურების პროვაიდერისგან, როგორც წესი, ამ რესურსების არასაკმარისი დონის გამო.

თუმცა, ამგვარი გარე რესურსების გამოყენების შემთხვევაშიც ფირმაში ხარისხის შესაბამისი დონის შენარჩუნებაზე პასუხისმგებლობა ისევ იმ ფირმას ეკისრება, რომელიც იყენებს ამგვარ რესურსებს.

მომსახურების პროვაიდერისგან მისაღები პოტენციური რესურსების მაგალითებია:

- პირები, რომლებიც ატარებენ მონიტორინგს, მიმოხილვას ან ტექნიკურ საკითხებზე კონსულტაციას;
- კომერციული სტ გამოყენებითი პროგრამები, რომლებიც გამოიყენება გარკვეულ გარიგებებში;
- პირები, რომლებიც პროცედურებს ასრულებენ გარიგებასთან დაკავშირებით, მაგალითად კომპონენტის აუდიტორი ან სხვა ვინმე, რომელიც მარაგის ინვენტარიზაციას ესწრება შორეულ ობიექტებზე;
- გარე ექსპერტი, რომელსაც აუდიტორი იყენებს.

ისევე, როგორც აუდიტის ხარისხის მიღწევასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა რისკის შემთხვევაში, მომსახურების პროვაიდერების სამუშაოს გამოყენების დროსაც ფირმამ უნდა შეაფასოს მომსახურების პროვაიდერის გამოყენების პოტენციური გავლენა. ეს მოიცავს თავად სამუშაოს ხასიათის გათვალისწინებას და ასევე რამდენად დაეყრდნობა მას ფირმა, რისთვისაც ხშირად ფირმა მხედველობაში იღებს ინფორმაციის სხვა წყაროებსაც, როგორიც არის, მაგალითად მომსახურების პროვაიდერის გამოცდილება და რეპუტაცია, რამდენად თანამედროვეა მათი მეთოდოლოგია და ნებისმიერი გამოყენებული სტ გამოყენებითი პროგრამის უსაფრთხოება.

2.7 ინფორმაცია და კომუნიკაცია

„ფირმამ უნდა დაადგინოს ხარისხის ... მიზნები, რომლებიც ეხება ხარისხის მართვის სისტემასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვებას, შექმნასა და გამოყენებას, ამ ინფორმაციის დროულად გავრცელებას ფირმის ფარგლებში და ასევე გარე მხარეებისთვის მიწოდებას, რათა შესაძლებელი იყოს ხარისხის მართვის სისტემის შექმნა, დანერგვა და ფუნქციონირება.“ (ხმს 1: 33-ე პუნქტი).

სტანდარტი ეხება საინფორმაციო ტექნოლოგიების (სტ) მუშაობას და მის გადამწყვეტ როლს ხარისხის მართვის სისტემაში. გარდა ამისა, აღიარებს, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების მუშაობას გარკვეული კულტურული ასპექტები ახასიათებს, კერძოდ:

- სტ სისტემები როგორ უწყობს ხელს ხარისხის მართვის სისტემის მუშაობას გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო ზუსტი, სრული, დროული და ვალიდური ინფორმაციის საშუალებით;
- როგორ იყენებს და ცვლის პერსონალი ინფორმაციას ფირმის ფარგლებში (ეს მოიცავს იმ მექანიზმებსაც, რომლის მეშვეობითაც ფირმა პერსონალს აცნობებს ხარისხის მართვის სისტემების ისეთი ცვლილებების შესახებ, რომლის ცოდნაც მათ ესაჭიროებათ);
- ინფორმაცია, რომელიც ერთდროულად რელევანტურად არის და საიმედოდ ხარისხის უზრუნველსაყოფად, სათანადოდ მოძრაობს ფირმიდან გარიგების გუნდებისკენ და პირიქით (მათ შორის, ინფორმაცია დამკვეთთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილების შესახებ, რომლის შესახებაც პერსონალმა უნდა იცოდეს);
- ქსელის ფირმებთან კომუნიკაცია მიზანშეწონილია იმისთვის, რომ მიწოდებულმა ინფორმაციამ პერსონალს დაკისრებული პასუხისმგებლობის შესრულების საშუალება მისცეს (ეს შეიძლება იყოს მაგალითად ინფორმაცია კონკრეტულ გარიგებასთან დაკავშირებული დამოუკიდებლობის მოთხოვნების შესახებ);
- თუ კონფიდენციალურობა არ ირღვევა, ინფორმაცია გადაეცემა გარე მხარეებს, როდესაც ამას მოითხოვს კანონმდებლობა ან პროფესიული სტანდარტები (მაგალითად, საექვო დარღვევის შემთხვევაში) ან იმისთვის, რომ გარე მხარეებმა ინფორმაცია მიიღონ ხარისხის მართვის სისტემის შესახებ.

ჩვენ ვხედავთ, რომ ამ თავში გამოიყენება ტერმინები „ქსელი“ და „ქსელის ფირმები“. ეს ტერმინები აუცილებლად უნდა განვმარტოთ, რათა კარგად გაიგოთ, რა გავლენა შეიძლება იქონიოს ქსელებმა ფირმის ხარისხის მართვის სისტემაზე.

2.7.1 ქსელები

ხმს 1, მე-16 პუნქტი მოიცავს შემდეგ განმარტებებს:

- **ქსელი** – მსხვილი სტრუქტურა, რომელიც შექმნილია თანამშრომლობისთვის და აშკარად მიზნად ისახავს მოგების ან დანახარჯების განაწილებას, ან გააჩნია საერთო საკუთრება, საერთო კონტროლის ან მართვის სისტემა, საერთო ხარისხის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, საერთო ბიზნეს-

სტრატეგია, იყენებს საერთო საფირმო ნიშანს ან საერთო პროფესიული რესურსების მნიშვნელოვან ნაწილს;

- **ქსელის ფირმა** – ფირმა ან სუბიექტი/ქვედანაყოფი, რომელიც ეკუთვნის ფირმის ქსელს.

ამ ტერმინებთან დაკავშირებულია **ქსელის მომსახურება**, რადგან ეს უკანასკნელი იმას აღნიშნავს, რომ ფირმა იყენებს ქსელის სხვა ფირმის მომსახურებას.

სტანდარტში იგულისხმება, რომ ქსელის (და შესაბამისად ქსელის ყველა დაკავშირებული ფირმის) ხარისხის მართვის სისტემა შეესაბამება ხმს 1-ის მოთხოვნებს.

2.8 მონიტორინგი და რემედიაცია

ფირმამ უნდა შეიმუშაოს მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესი, რათა:

- ჰქონდეს რელევანტური, საიმედო და დროული ინფორმაცია ხარისხის მართვის სისტემის დიზაინის, დანერგვისა და ფუნქციონირების შესახებ; და
- გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად სათანადო ზომები იმგვარად გაატაროს, რომ ნაკლოვანებები დროულად გამოსწორდეს. (ხმს 1, 35-ე პუნქტი)

მონიტორინგის პროცესი განკუთვნილია ხარისხის მართვის სისტემაში არსებული **ნაკლოვანებების** გამოსავლენად. მონიტორინგის ღონისძიებების ხასიათის, ვადებისა და მოცულობის განსაზღვრისას ითვალისწინებენ ისეთ ფაქტორებს, როგორც არის, მაგალითად, რისკი, ცვლილება, წინა მონიტორინგის ღონისძიებები და საჩივრები, ან ბრალდებები (განცხადებები) არადადამაყოფილებელი ხარისხის შესახებ. სტანდარტში აღნიშნულია, რომ ამ პროცესმა ხელი უნდა შეუწყოს გარიგების ხარისხისა და **ხარისხის მართვის სისტემის პროაქტიულ და უწყვეტ გაუმჯობესებას**.

მონიტორინგის პროცესი მიმართულია დასრულებულ გარიგებებზე და მონიტორინგის სხვა ღონისძიებების გათვალისწინებაზე, როდესაც ფირმა გადაწყვეტილებას იღებს იმის შესახებ, რომელი გარიგება უნდა შეარჩიოს მონიტორინგისთვის (ამასთან, ამ ღონისძიებებმა უნდა მოიცვას თითოეული გარიგების პარტნიორის სულ მცირე ერთი გარიგება მაინც, რომლებიც შეირჩევა ციკლურ საფუძველზე). მონიტორინგისთვის გარიგებების შერჩევისას შესაძლოა შესაფერისი იყოს ასევე სხვა ფაქტორების გათვალისწინებაც, როგორც არის, მაგალითად საფონდო ბირჟაზე კოტირებული სუბიექტი, ახალდმოცენებული/განვითარებადი დარგების სუბიექტები და გარიგების პარტნიორების გამოცდილება.

პირებს, რომლებიც მონიტორინგის ღონისძიებებს ახორციელებენ, უნდა ჰქონდეთ დავალების ეფექტიანად შესასრულებლად აუცილებელი საკმარისი კომპეტენცია, შესაძლებლობები და დრო, ამასთან არ უნდა იყვნენ იმ გარიგების გუნდის წევრები, რომლის ინსპექტირებაც ტარდება. მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესის განსახორციელებლად საჭირო ინფორმაცია სხვადასხვანაირი იქნება სხვადასხვა ფირმაში, ფირმის სირთულისა და მიხედვით. (ხმს 1, პუნქტები: 37-39-ე, გ138, გ144, გ151)

როდესაც მონიტორინგის პროცესის შედეგად გამოვლინდება გარიგების ნაკლოვანებები, ფირმამ უნდა გამოიკვლიოს მათი სერიოზულობა და ყოვლისმომცველობა. ამისთვის საჭიროა ნებისმიერი ნაკლოვანების სიხშირის, მათი გამომწვევი მიზეზებისა და ხარისხის მართვის სისტემაზე მათი გავლენის გამოკვლევა.

შემდეგ შეიმუშავენ და გაატარებენ გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსასწორებლად შესაფერის **რემედიაციის ღონისძიებებს**.

თუ მონიტორინგის პროცესი გამოავლენს ისეთ გარიგებებს, რომლის მიმართაც არ შესრულებულა კანონმდებლობით ან პროფესიული სტანდარტებით მოთხოვნილი პროცედურები, ან გაცემული აუდიტორის დასკვნა არ იყო ადეკვატური, ფირმამ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები აუცილებელი ნაკლოვანების გამოსასწორებლად და განიხილოს ამ ნაკლოვანების შედეგების გავლენა ფირმაზე, მათ შორის, იურიდიული კონსულტაციის მიღების საჭიროების საკითხი. (ხმს 1, პუნქტები: 40-45-ე, გ163)

მონიტორინგისა და რემედიაციის ღონისძიების ნებისმიერი შედეგის შესახებ უნდა ეცნობოს იმ პირს, რომელსაც საბოლოო პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება ეკისრება ფირმის ხარისხის მართვის სისტემაზე. ასევე გარიგების გუნდებსაც უნდა მიეწოდოს ინფორმაცია ამ პროცესის შედეგად გამოვლენილი საკითხების/პრობლემების შესახებ, რათა მათ შეძლონ სათანადო ზომების დროულად გატარება თავიანთი პასუხისმგებლობების შესაბამისად. (ხმს 1, პუნქტები: 46-47-ე)

ხარისხის მართვის სისტემის შეფასება

პირ(ებ)ს, რომელსაც (რომლებსაც) საბოლოო პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება აკისრია (აკისრიათ) ხარისხის მართვის სისტემაზე, ევალება(თ) სისტემის ყოველწლიური შეფასების განხორციელება. ამგვარი შეფასების მიზანია ერთ-ერთი შემდეგი სახის დასკვნის გამოტანა:

- დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, რომ ხარისხის მართვის სისტემის მიზნები მიიღწევა;
- არსებობს ნაკლოვანებები, რომლებიც სერიოზულ გავლენას ახდენს ხარისხის მართვის სისტემის დიზაინზე, დანერგვასა და ფუნქციონირებაზე, მაგრამ არა ყოვლისმომცველს, მაგრამ სხვა დანარჩენ შემთხვევაში, ხარისხის მართვის სისტემა ფირმას უზრუნველყოფს დასაბუთებული რწმუნებით იმის შესახებ, რომ ხარისხის მართვის სისტემის მიზნები მიიღწევა; ან
- ხარისხის მართვის სისტემა ფირმას ვერ უზრუნველყოფს დასაბუთებული რწმუნებით იმის თაობაზე, რომ ფირმის ხარისხის მართვის სისტემის მიზნები მიიღწევა.

თუ ხარისხის მართვის სისტემის შეფასების შედეგად გამოტანილია ბოლო ორი დასკვნიდან რომელიმე, მაშინ ფირმა უნდა გაატაროს მყისიერი და სათანადო ზომები და ამ დასკვნების შესახებ აცნობოს გარიგების გუნდებსა და გარე მხარეებს, ფირმის პოლიტიკის ან პროცედურების შესაბამისად.

ნაკლოვანების სერიოზულობისა და ყოვლისმომცველობის დადგენა განსჯის საფუძველზე ხდება, მაგრამ, საზოგადოდ, ყოვლისმომცველად მიიჩნევა ისეთი ნაკლოვანება, რომელიც:

- გავლენას ახდენს ხარისხის მართვის სისტემის რამდენიმე ნაწილზე;
- ეხება ხარისხის მართვის სისტემის რომელიმე ნაწილს, მაგრამ ფუნდამენტურ გავლენას ახდენს ხარისხის მართვის მთელ სისტემაზე;
- ნაკლოვანება გავლენას ახდენს ფირმის რამდენიმე ბიზნესერთეულზე ან ადგილმდებარეობაზე (რეგიონულ ოფისზე);
- ნაკლოვანება ეხება რომელიმე ბიზნესერთეულს ან გეოგრაფიულ არეალს (რეგიონულ ოფისს), მაგრამ ამ ბიზნესერთეულს ან ოფისს ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს მთელი ფირმისთვის;
- ნაკლოვანება გავლენას ახდენს ერთი და იმავე ტიპის ან ბუნების გარიგებების არსებით ნაწილზე.

პერიოდულად უნდა ტარდებოდეს იმ პირთა საქმიანობის შეფასება, რომლებსაც საბოლოო პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება ან ოპერატიული პასუხისმგებლობა აკისრიათ ფირმის ხარისხის მართვის სისტემაზე. (ხმსს 1, პუნქტები: 53-56-ე, გ192)

სავარჯიშო 4: ვბმკ

ვარლი, ბელი, მერფი და კობიტი (ვბმკ) არის პატარა დამოუკიდებელი აუდიტორული ფირმა, რომელსაც ოთხი პარტნიორი ჰყავს და ერთი ოფისი აქვს ქვეყნის ერთ-ერთ რეგიონში. მათი დამკვეთები არიან საწარმოები, რომლებიც, ძირითადად, საცალო და ფინანსური მომსახურების სექტორში საქმიანობენ. მათგან ორი უმსხვილესი დამკვეთი საფონდო ბირჟებზეა კოტირებული. ვბმკ მუშაობს ისეთ იურისდიქციაში, სადაც IAASB -ს აუდიტის, სხვა მარწმუნებელი მომსახურების, ხარისხის მართვისა და ეთიკის სტანდარტები აღიარებულია ეროვნულ სტანდარტებად.

ხარისხის მართვა ფირმაში

ფირმა მიიჩნევს, რომ ხარისხის მართვა ძალიან მნიშვნელოვანია და ცდილობს საერთაშორისო მითითებების დაცვას. მიკი მერფი არის პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია ხარისხზე. ის ასევე არის ფირმის პარტნიორი მარკეტინგის საკითხებში, კომერციულ სფეროში მისი მუშაობის გამოცდილებისა და ცოდნის გამო. ფირმაში არ არსებობს სპეციალური ხარისხის მართვის განყოფილება, მაგრამ მიკი ფირმის ხარისხის მართვის პროცედურების შესახებ ანგარიშს ამზადებს ყოველ წელს აგვისტოს თვეში, როდესაც დაკავებული არ არის.

ფირმის სიდიდის გამო არ ტარდება ჩატარებული აუდიტების ყოველწლიური ხარისხის მიმოხილვა: პარტნიორები ყოველდღიურად ურთიერთობენ და ყოველთვიურ სხდომებზე განიხილავენ ხარისხს. ამასთან, მიკი ფირმის დამკვეთების ყოველწლიური მარკეტინგული მიმოხილვის ფარგლებში ავლენს ყველა დამკვეთს, რომელიც სარისკოდ მიიჩნევა მათი ზომის ან მათზე ფირმის დამოკიდებულების გამო.

ადამიანური რესურსები

ფირმის ახალი თანამშრომლები, ძირითადად, ადგილობრივი უნივერსიტეტის ბუღალტრული აღრიცხვის სპეციალობის კურსდამთავრებულები არიან, რათა ფირმამ მინიმუმამდე დაიყვანოს პერსონალის პრაქტიკული სწავლების/ტრენინგის დანახარჯები. ყველა კანდიდატი გადის საბოლოო გასაუბრებას უფროს პარტნიორთან, როგორც ვარლისთან. გასაუბრებისთვის კანდიდატების შერჩევა ხდება მათ საგამოცდო ნიშნების, ინგლისურ ენაზე თავისუფლად საუბრის უნარის, პრეზენტაციის უნარისა და თავდაჯერებულობის თვისებებით.

მთელი პროფესიული პერსონალის ყოველწლიურ შეფასებას ახორციელებს მთავარი პარტნიორი. მისი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ფირმა იზრდება, ის ჯერ კიდევ საკმარისად მცირეა იმისთვის, რომ თითოეული თანამშრომელი პირადად შეფასდეს.

თანამშრომელთა დაწინაურება ეფუძნება „დაბალანსებულ მაჩვენებელთა სისტემას“, რომელიც 4 კრიტერიუმს მოიცავს:

- მარკეტინგულ ღონისძიებებზე დასწრება;
- აუდიტის სამუშაოების დროულად შესრულება;
- დამკვეთების გამოხმაურება/შეფასება (ყოველი აუდიტის შემდეგ ჩატარებული გამოკითხვის/შეფასების საფუძველზე);
- დილით სამსახურში გამოცხადების პუნქტუალურობა (პერსონალი უნდა გამოცხადდეს დილის 8 საათისთვის, მაგრამ წასვლა შეუძლიათ თავისი სამუშაოს დასრულების შემდეგ).

აუდიტის პროცესი

მთელ აუდიტის სამუშაოს განიხილავს აუდიტზე პასუხისმგებელი აუდიტორი, სანამ ფაილებს წარუდგენს გარიგების პარტნიორს. პასუხისმგებელი აუდიტორი პარტნიორისთვის გამოყოფს იმ ძირითად რისკიან სფეროებს, რომლისთვისაც მეორე მიმოხილვის ჩატარება შეუძლია პარტნიორს. ფაილების შექმნა და განსახილველად გადაცემა მთლიანად ელექტრონულად ხდება. ვინაიდან ფირმის სკანირების აპარატურა გადატვირთულია, შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვან ფიზიკურ მტკიცებულებებს თავიდან იშორებენ/ანადგურებენ აუდიტის დასრულებისას. ფირმა ძალიან მცირეა იმისთვის, რომ ჰქონდეს დარგობრივი დანაყოფები, ამიტომ დამკვეთები ოთხ პარტნიორზეა განაწილებული მათი მდებარეობის მიხედვით.

ტექნიკური საკითხები

ეთიკის საკითხებში ტექნიკური დახმარება ევალება ერთ-ერთ პარტნიორს, ჯანინ ბელს (როდესაც ის ოფისშია), რომელსაც ფირმაში პატივს სცემენ ტექნიკური ცოდნის გამო. თანამშრომლებს მოუწოდებენ, რომ, საჭიროების შემთხვევაში, დახმარებისთვის ჯანინს მიმართონ.

აუდიტის მთელ პერსონალს ყოველ წელს აძლევენ მეხსიერების ბარათს, რომელიც შეიცავს IFAC-ის უახლესი ოფიციალური დოკუმენტების PDF ფაილებს, აუდიტის ჩატარებისას გამოსაყენებლად. ნებისმიერ საჭირო „საბიბლიოთეკო“ მონაცემებს, როგორც არის გაცვლითი კურსი, აქციების ფასები და ა.შ. აუდიტის პერსონალი პირდაპირ ინტერნეტიდან მოიპოვებს.

ტექნიკურ საკითხებს აგვარებს შესაბამისი აუდიტის გარიგების პარტნიორი.

მოგეთხოვებათ:

გამოავლინოთ სცენართან დაკავშირებით წარმოქმნილი ხარისხის მართვის პრობლემები და წარმოადგინოთ შესაბამისი კომენტარები. (10 ქულა)

ამოხსნა:

თავის რეზიუმე



ცოდნის დიაგნოსტიკა

1. ხარისხის პრინციპები ფირმებისთვის

ხარისხის მართვა **ფუნდამენტური საკითხია** ყველა აუდიტორული ფირმისთვის. ხარისხის მართვასთან დაკავშირებით ფირმებისთვის ძირითად სახელმძღვანელო წყაროს წარმოადგენს **ხმს 1**, სადაც დეტალურად არის აღწერილი ხარისხის მართვის სისტემის კონკრეტული კომპონენტები, რომლებიც ნებისმიერ **აუდიტორულ ფირმაში** უნდა არსებობდეს. **გარიგების ხარისხის მიმოხილვას** არეგულირებს **ხმს 2**.

2. ხარისხის მართვის ელემენტები

მდგრადი ხარისხის სისტემები მოიცავს:

- ფირმის **რისკის შეფასების პროცესს**;
- **მმართველობისა და ხელმძღვანელობის** პასუხისმგებლობას ხარისხზე ფირმაში;
- **ეთიკურ მოთხოვნებს**, მათ შორის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებულს;
- დამკვეთთან ურთიერთობაზე ან კონკრეტულ გარიგებაზე **დათანხმების**, ან დამკვეთთან ურთიერთობის ან კონკრეტული გარიგების **გაგრძელების** პოლიტიკასა და პროცედურებს;
- **რესურსებს**, მათ შორის, პერსონალის დანიშვნას კონკრეტული გარიგებების შესასრულებლად, ტექნოლოგიური და ინტელექტუალური რესურსების და მომსახურების პროვაიდერების გამოყენებას;
- **გარიგების შესრულებას**, მათ შორის, აუცილებელი შემთხვევებისთვის ადეკვატური კონსულტაციების პროცედურებს და კონკრეტული გარიგებების ხარისხის მიმოხილვას;
- **ინფორმაციასა და კომუნიკაციას** ფირმის ფარგლებში და მის გარეთ; და
- **მონიტორინგის პროცესს**, რომელიც უზრუნველყოფს სტანდარტების მოთხოვნების შესრულებას და საჭიროების შემთხვევაში, ნაკლოვანებების **გამოსწორებას/ტრემედიაციას**.

სავარჯიშოების პასუხები

სავარჯიშო 1: ხარისხს აქვს მნიშვნელობა?

მიდგომა

ეს არის მოკლე კითხვა, რომელშიც განხილვის უნარი უნდა გამოავლინოთ. გახსოვდეთ, რომ გამოცდაზე ყოველთვის შეიძლება მოგთხოვონ მსგავსი რამ, ასე, რომ თქვენ ყველაფერზე უნდა გქონდეთ რაღაც სათქმელი! 2021 წელს ხარისხის მართვის სტანდარტების ახალი ნაკრების (მათ შორის, ხმს 1-ის) სამოქმედოდ შემოღებამ ეს საკითხი აქტუალურად გადააქცია.

პასუხის ნიმუში:

2021 წელს IAASB-მ ამოქმედა ხარისხის სტანდარტების ახალი ნაკრები და შემოგვთავაზა ახალი ტერმინი: ხარისხის მართვა. მართალია, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ეს ცნება იგივეა, რაც ხარისხის კონტროლი (რაც შესაძლოა ისწავლეთ წინა მოდულებში), მაგრამ სინამდვილეში ეს არის იმ მიმდინარე პრობლემებზე გამოხმაურება/რეაგირება, რომლებიც დაკავშირებულია აუდიტის ხარისხსა და მაღალი სტატუსის მქონე დამკვეთების კრახის შემთხვევებთან. ხარისხის მართვის სისტემა იმგვარად არის შექმნილი, რომ ფუნქციონირებდეს უწყვეტად და იტერაციულად (მაგრამ არა სწორხაზოვნად) და პროაქტიულად მართავდეს არადამაკმაყოფილებელ ხარისხის რისკებს, იმის შესაბამისად, როგორც იცვლება ფირმა და მისი გარიგებები დროთა განმავლობაში (ხმს 1: პუნქტები: მე-6-7).

მაშ, რატომ სურთ ან სჭირდებათ ფირმებს ეს? ჩვენ შეგვიძლია ამ კითხვას ვუპასუხოთ ხმს 1-ის მიხედვით (სადაც ახსნილია ხარისხის საჭიროება და მნიშვნელობა) და რამდენიმე სხვა მომენტის გამოყოფით (რომლებიც უფრო იმასთან არის დაკავშირებული, თუ რა სურთ ფირმებს):

- მიიღონ დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ ფირმა და მისი პერსონალი თავიანთ პასუხისმგებლობებს ასრულებენ პროფესიული სტანდარტებისა და შესაფერისი საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად და გარიგებებსაც ასრულებენ ამგვარი სტანდარტებისა და მოთხოვნების დაცვით (ხმს 1, პუნქტი 14ა);
- მიიღონ დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ ფირმის ან გარიგების პარტნიორების მიერ გაცემული გარიგების დასკვნები (ანგარიშები) კონკრეტული გარემოებების შესაფერისია (ხმს 1, პუნქტი 14ბ);
- დაიცვან ფირმის რეპუტაცია;
- დაიცვან პროფესიის რეპუტაცია (ე.ი. მოლოდინებს შორის განსხვავების შემცირება), ემსახურებიან რა საზოგადოების ინტერესების დაცვას (ხმს 1, პუნქტი მე-15);
- შეამცირონ ფირმის წინააღმდეგ დაუდევრობის მოტივით სასამართლოში სარჩელის აღძვრის რისკი.

მეთოდური მითითება. აღსანიშნავია, რომ ყველა ფირმას არ დასჭირდება იმავე ტიპის ხარისხის მართვის სისტემა, როგორც აღწერილია სტანდარტში: ხმს 1-ის გ29 პუნქტში მოყვანილია ინდივიდუალური პრაქტიკოსის მაგალითი, რომლისთვისაც შესაფერისი არ არის როლების, პასუხისმგებლობებისა და უფლებამოსილებების განაწილებასთან, ხელმძღვანელობასთან, ზედამხედველობასა და მიმოხილვასთან და აზრთა სხვადასხვაობის გადაჭრასთან დაკავშირებული მოთხოვნები და მათი შესრულება.

გრადაციის ეს ცნება (სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გარემოებების შესაბამისად რეაგირება) ბევრგან არის განხილული ხმს 1-ში – მთავარი გზავნილია იმ რისკების პროაქტიული მართვა, რომლებიც იწვევს აუდიტის დაბალ ხარისხს.

სავარჯიშო 2: შესაძლებლობები და კომპეტენცია

მიდგომა

ზოგჯერ პასუხი ზუსტად ის იქნება, რასაც სტანდარტი ამბობს: მიეწვიეთ იმას, რომ თქვენ შეგიძლიათ თითოეული მათგანის ზოგიერთი ძირითადი ელემენტის განზოგადება. საბედნიეროდ, ამ შემთხვევაში, პასუხის დიდი ნაწილი საღი აზრიდან მომდინარეობს.

პასუხის ნიმუში:

ხმს 1-ის გ88-89 პუნქტებში კომპეტენცია განმარტებულია შემდეგნაირად: „კომპეტენცია არის პირის უნარი, შეასრულოს გარკვეული როლი, რაც არ გულისხმობს მხოლოდ პრინციპების, სტანდარტების, ცნებების, ფაქტებისა და პროცედურების ცოდნას; ეს ცნება გულისხმობს ტექნიკური კომპეტენციის, პროფესიული უნარების, პროფესიული ეთიკის, ღირებულებებისა და ქცევის ინტეგრაციასა და ერთობლივად გამოყენებას. კომპეტენციის განვითარება შესაძლებელია სხვადასხვა მეთოდით, მათ შორის პროფესიული განათლების მიღებით, განგრძობითი პროფესიული განათლების მეშვეობით, პრაქტიკული სწავლებით, მუშაობის გამოცდილებით ან გარიგების გუნდის გამოცდილი წევრების მიერ ნაკლებად გამოცდილი წევრების ქოუჩინგით“.

„კომპეტენციასა და შესაძლებლობებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს შესაძლოა ადგენდეს კანონმდებლობა ან პროფესიული სტანდარტები, როგორც არის, მაგალითად პროფესიული ლიცენზირების მოთხოვნები გარიგების პარტნიორებისთვის, მათ შორის მოთხოვნები, რომლებიც ეხება მათ პროფესიულ განათლებასა და განგრძობით პროფესიულ განვითარებას“.

თუ ზემოაღნიშნულს განვაზოგადებთ, შევძლებთ ხარისხის მართვის შემდეგი პროცედურების გამოყოფას, რომელზეც ფირმას შეუძლია ყურადღების კონცენტრაცია:

- **ტექნიკური ცოდნის** გამოყენება, რომელიც პირს მიღებული აქვს ბუღალტრული აღრიცხვის შესწავლისა და განგრძობითი პროფესიული განვითარების შედეგად;
- **პრაქტიკული მომზადების** გამოყენება, რაც პირს შესაძლოა მიღებული ჰქონდეს როგორც ახლანდელი, ისე ადრინდელი დამქირავებელი ორგანიზაციისგან;
- დამქირავებელი ორგანიზაციის მიერ მიცემული **ეთიკის სახელმძღვანელოს** (როგორც ორგანიზაციის შიდა, ისე ACCA-ის სახელმძღვანელოს) გაცნობა;
- ახლანდელ და წინა სამუშაო ადგილზე მიღებული პირის სამუშაო გამოცდილების გათვალისწინება;
- პერსონალის მხარდაჭერა გარიგების გუნდში **ქოუჩინგის** (და პრაქტიკული სწავლების) ორგანიზების მეშვეობით;
- **აკრედიტაციის** დადასტურება, რომელიც მოითხოვს იურიდიული, პროფესიული ან სხვა სტანდარტებით მოთხოვნილი კომპეტენციისა და შესაძლებლობების დასამოწმებლად;

სავარჯიშო 3: ტექნოლოგიური და ინტელექტუალური რესურსები

მიდგომა

თქვენ ალბათ შეძლებთ ამის გამოცნობას და ზოგ შემთხვევაში, მართალიც იქნებით. თუმცა, არსებობს სხვა სფეროები, რომლებიც რესურსების ამ კატეგორიებს განეკუთვნება და რომელთა შესახებაც თქვენ უნდა იცოდეთ. სწორედ ეს არის მიზეზი, რის გამოც ისინი გათვალისწინებულია ამ სავარჯიშოში. როგორც ნებისმიერი ასეთი დავალების შემთხვევაში, თქვენ ახლაც კონტექსტის გათვალისწინებით უნდა იფიქროთ: ადამიანური რესურსის გარდა სხვა რომელი რესურსების გამოყენება შეუძლია ფირმას გარიგების შესასრულებლად? რისთვის შეიძლება იყოს საჭირო ეს რესურსები?

პასუხის ნიმუში:

ტექნოლოგია, როგორც წესი, მოიცავს საინფორმაციო ტექნოლოგიების (სტ) გარემოს, რომელიც ჩვეულებრივ შედგება სტ გამოყენებითი პროგრამებისგან, რომლებიც ფუნქციონირებს სტ ინფრასტრუქტურაში და რომლის მუშაობას უზრუნველყოფს კონკრეტული სტ პროცესები. აი, ამ ტერმინების რამდენიმე მაგალითი:

- სტ გამოყენებითი პროგრამები შესაძლოა მოიცავდეს მონაცემთა ანალიზის პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც აკონტროლებს დამოუკიდებლობას;

- სტ ინფრასტრუქტურა ჩვეულებრივ მოიცავს ქსელის აპარატურულ და პროგრამულ უზრუნველყოფას;
- სტ პროცესები მოიცავს კონტროლის მექანიზმებს/პროცედურებს (როგორც ავტომატიზებულს, ისე მანუალურს), რომელიც მართავს სტ გარემოსთან წვდომას, მის განახლებებს, უსაფრთხოებას ან გაუმჯობესებას.

ფირმაში გამოყენებული ყველა ტექნოლოგია დაკავშირებული არ იქნება ხარისხის მართვის სისტემასთან, მაგრამ ის, რომელიც დაკავშირებულია, მოიცავს ისეთ რესურსებს, როგორც არის ზემოთ აღწერილი, რომლებიც აუცილებელია უშუალოდ გარიგების შესრულებისთვის, ან გარიგების შესრულების უზრუნველსაყოფად.

სხვადასხვა ფირმაში გამოყენებული ტექნოლოგიების ბუნება შეიძლება განსხვავდებოდეს ფირმის სირთულის მიხედვით (სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სტანდარტში იგულისხმება, რომ ტექნოლოგიური საჭიროებები გრადაციას ექვემდებარება), მაშასადამე, მცირე ფირმებმა შეიძლება გამოიყენონ „მზა“ სტ სისტემები, ხოლო უფრო მსხვილმა ფირმებმა შეიძლება შექმნან საკუთარი, ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული პროგრამები, ინფრასტრუქტურა და პროცესები.

ინტელექტუალური რესურსების მაგალითები სტანდარტიდან: „წერილობითი დამტკიცებული პოლიტიკა ან პროცედურები, მეთოდოლოგია, დარგის ან განსახილველი საგნისთვის შესაფერისი სპეციალური სახელმძღვანელოები/ინსტრუქციები, ბუღალტრული აღრიცხვის სახელმძღვანელოები, სტანდარტული დოკუმენტაცია ან ინფორმაციის წყაროებთან წვდომა (მაგ., ვებგვერდების გამოწერა, სადაც დეტალური ინფორმაციაა მოცემული სუბიექტების შესახებ ან სხვა ინფორმაცია, რომლებიც გარიგებების შესრულებისას გამოიყენება, როგორც წესი“.

ინტელექტუალური რესურსების გამოყენებას შეიძლება დასჭირდეს გარკვეული ტექნოლოგიური რესურსები, მაგალითად, ფირმას შეიძლება ჰქონდეს საკუთარი, სპეციალური აუდიტის მეთოდოლოგია, რომელიც გამოიყენება გარიგების დაგეგმვისა და შესრულების მიზნებისთვის და მუშაობს კონკრეტულ სტ გამოყენებით პროგრამაში. ფირმამ უნდა უზრუნველყოს რესურსების ადეკვატური დონის არსებობა, რათა შესაძლებელი იყოს გარიგებასთან დაკავშირებული სამუშაოს შესრულება და მთელი პერსონალისთვის ადეკვატური დონის წვდომა რესურსებსა და სწავლებაზე.

ხარისხის მართვის ნებისმიერი სისტემა შექმნილია იმისთვის, რომ ფირმამ დაიცვას კანონები, სხვა ნორმატიული აქტები, ასევე პროფესიული და ეთიკური სტანდარტები, როდესაც ადგენს გარიგების დასკვნებს/ანგარიშებს. ტექნოლოგია მონაცემთა უფრო სწრაფი და ეფექტური დამუშავების საშუალებას იძლევა, ხოლო ინტელექტუალური რესურსები პერსონალს უზრუნველყოფს როგორც ინფორმაციით, ისე გარიგების დაგეგმვისა და შესრულების მიდგომით, რომელიც შეესაბამება ფირმის პოლიტიკასა და პროცედურებს და უზრუნველყოფს ხარისხს. (ხმს 1, პუნქტები: გ98-გ104)

სავარჯიშო 4: ვბმკ

მიდგომა

სცენარის სწრაფი წაკითხვიდან ჩანს, რომ ვბმკ ხარისხს ისე სერიოზულად არ ეკიდება, როგორც ამას ხმს 1 და ხმს 2 მოითხოვს. ასე, რომ თქვენ ბევრი რამის დაწერა შეგიძლიათ აქ! კარგი ამბავი ის არის, რომ როდესაც ამ საკითხების ცოდნა გამოცდაზე შემოწმდება, ხარისხის მართვა და სხვა პროფესიული საკითხები ხშირად ამ სავარჯიშოს ანალოგიურად იქნება აღწერილი (ანუ აშკარად გამოჩნდება, რომ არასწორია). თუმცა, თქვენი ამოცანაა, წარმოადგინოთ თქვენებური შეფასება და ახსნათ, თუ რატომ არის ეს არასწორი ხმს 1-ისა და ხმს 2-ის მოთხოვნების გათვალისწინებით. თქვენ შეგიძლიათ მინიმუმ ერთი ქულის მიღება თითოეული კარგად ახსნილი საკითხისთვის, ასე რომ თქვენ სულ მცირე ათი მოსაზრება/კომენტარი მაინც უნდა წარმოადგინოთ.

პასუხის ნიმუში:

- არ არსებობს მტკიცებულება იმისა, რომ ფირმაში ხორციელდებოდა ხარისხის მართვის **რისკის შეფასების პროცესი**. მართლაც, საეჭვოა, არსებობს თუ არა ფირმაში ხარისხის მართვის სისტემა, რომელიც შეესაბამება ხმს 1-ის მოთხოვნებს.
- მიკის, როგორც მარკეტინგის სფეროს პარტნიორის როლი, რომელიც ბიზნესის ზრდას მართავს,

პირდაპირ ეწინააღმდეგება მის, როგორც ხარისხის პარტნიორის როლს - ეს ფუნქცია უნდა გადაეცეს რომელიმე სხვა პარტნიორს, რადგან ეწინააღმდეგება ხმს 1-ის **მმართველობისა და ხელმძღვანელობის ასპექტებს**.

- ასევე შესაძლებელია, რომ მიკის კომერციულ და ეთიკურ როლებს შორის ინტერესთა კონფლიქტმა ხელი შეუშალოს **დამკვეთთან ურთიერთობაზე ან კონკრეტულ გარიგებაზე დათანხმების, ან დამკვეთთან ურთიერთობის ან კონკრეტული გარიგების გაგრძელების** აუცილებელი პროცედურების ჩატარებას, რომლებიც ფირმას უნდა ჰქონდეს. სცენარში ნახსენები არ არის, რომ რაიმე გამოკვლევის პროცედურები ტარდება დამკვეთის პატიოსნების დასადგენად ან იმის გასარკვევად, ფირმის გარიგებებისთვის არსებობს თუ არა ხელმისაწვდომი დრო და რესურსები.
- ხარისხის გაუმჯობესების მიმართ ფირმის მიდგომა ადეკვატური არ არის **რესურსებთან** დაკავშირებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, რომელსაც ითვალისწინებს ხმს 1, აუცილებელია უფრო ფორმალური პროგრამის არსებობა. ტრენინგი უნდა ჩატარდეს იმ დროს, როდესაც პერსონალი სავარაუდოდ არ იქნება შვებულებაში (ან სხვა შესაფერის დროს).
- ხარისხის მართვის სისტემის მოთხოვნების დაცვის მდგომარეობის დასადგენად აუცილებელია, რომ მუდმივად ტარდებოდეს **მონიტორინგის და რემედიაციის ღონისძიებები**, მაგრამ აქ არ ჩანს, რომ ფირმაში ტარდება აუცილებელი ინსპექტირება. პარტნიორი ვერ დაამტკიცებს, რომ ფირმა ძალიან მცირეა, თუ მუშაობს IAASB-ის სტანდარტების შესაბამისად. ხმს 2-ის შესაბამისად აუცილებელია, რომ აუდიტორის დასკვნის შედგენამდე ჩატარდეს ფირმის ორი საფონდო ბირჟაზე კოტირებული დამკვეთის გარიგების ხარისხის მიმოხილვა.
- ახალმა თანამშრომლებმა უნდა გაიარონ პრაქტიკული სწავლება ფირმის **რესურსებისთვის** დადგენილი პრინციპებისა და მეთოდოლოგიის შესასწავლად. არ შეიძლება, რომ ფირმა დაეყრდნოს მათ უნივერსიტეტის დიპლომს.
- საკმარისი არ არის პერსონალისთვის მეხსიერების ბარათით სტანდარტების მიწოდება. როგორც წესი, პერსონალისთვის უნდა მომზადდეს სახელმძღვანელო, რომელიც გამყარებული იქნება ტრენინგებით და სახელმძღვანელოს განახლებებით (ასევე შესაძლებელია, რომ ხმს 1-ის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ასპექტებს არ შეესაბამებოდეს მონაცემთა კონფიდენციალურობასა და კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებული პოტენციური საკითხები).
- **რესურსების** შესახებ ზემოაღნიშნული შენიშვნების გარდა, აღსანიშნავია ისიც, რომ არც შეფასების კრიტერიუმები შეესაბამება ხარისხის მართვის მიზნებს; მაგალითად, შესაძლოა აუდიტის „ხარისხზე“ წინ დააყენონ წარმოქმნილი პრობლემების გამოკვლევა.
- **გარიგების შესრულების** მიმდინარეობისას ჩატარებული მიმოხილვის პროცესი ადეკვატური არ არის ხარისხის უზრუნველსაყოფად. სფეროებს/საკითხებს, რომლებსაც აუდიტზე პასუხისმგებელი აუდიტორი მნიშვნელოვნად არ მიიჩნევს, არავინ განიხილავს. როგორც წესი, მენეჯერმა უნდა ჩაატაროს აუდიტზე პასუხისმგებელი აუდიტორის მიერ შესრულებული სამუშაოს მიმოხილვა და უმცროსი პერსონალის მიერ შესრულებულ სამუშაოს მეორე მიმოხილვა.
- **გარიგების შესრულების** შეფასების მიზნებისთვის დოკუმენტაცია არის ხარისხის დამადასტურებელი მთავარი მტკიცებულება. ამიტომ არ უნდა განადგურდეს აუდიტის მტკიცებულება, რომელიც აუცილებელია აუდიტის ფაილში მოცემული ინფორმაციის გასამყარებლად;
- აუდიტის გარიგებების განაწილება პარტნიორებზე ადეკვატურობის მიხედვით ხელს არ უწყობს ხარისხის ამაღლებას. დარგობრივი დანაყოფების არსებობა შეიძლება არ იყოს პრაქტიკული მცირე ფირმაში, მაგრამ საცალო და ფინანსური სექტორის დამკვეთები შეიძლება დაიყოს და ისე განაწილდეს პარტნიორებზე ფირმის სპეციალიზაციის განვითარების მიზნით (და ასევე ეფექტიანობის ასაძაღვლებლად). რესურსებისადმი ამგვარი მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საფინანსო მომსახურების დარგის დამკვეთებისთვის, რომლებზეც ვრცელდება რთული მარეგულირებელი ნორმები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ვბმკ-ს იურიდიული პასუხისმგებლობა (სასამართლო), თუ ისინი არ ფლობენ ასეთი სამუშაოს შესასრულებლად აუცილებელ სათანადო კომპეტენციასა და გამოცდილებას.
- **გარიგების შესრულების** შეფასებისას უნდა არსებობდეს მექანიზმები ტექნიკური კონსულტაციის მისაღებად (ეთიკურ საკითხებზე კონსულტაციების გარდა) როგორც ფირმაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. გათვალისწინებული უნდა იყოს პარტნიორებს შორის მეორე მოსაზრებების მიღების შესაძლებლობა. უკეთესი იქნება, თუ კონსულტაციების გაწევა დაევალება ტექნიკური საკითხების მენეჯერს (ან ფირმის პროფესიონალების გარკვეულ ჯგუფს), რათა კონსულტაციები უფრო ადეკვატურად იყოს ხელმისაწვდომი აუდიტის ჯგუფის წევრებისთვის.

- გარდა ამისა, **ეთიკური მოთხოვნების** დაცვა არ უნდა დარჩეს პერსონალის „იმედზე“. დამოუკიდებლობის წერილობითი დადასტურება ფირმის პროფესიული პერსონალის მიერ აუცილებელია წელიწადში ერთხელ მაინც, ხმს 1-ის მოთხოვნების შესაბამისად, რათა არ წარმოიქმნას პირად ინტერესთა კონფლიქტი (როგორც არის აქციების ფლობა ან სხვა ურთიერთკავშირები).
- მართალია, ინტერნეტიდან მონაცემების მიღება შესაძლებელია, მაგრამ პერსონალს უნდა მიეწოდოს ინსტრუქციები იმის შესახებ, თუ საიდან, რომელი წყაროდან მოიპოვოს მონაცემები (**ინფორმაცია და კომუნიკაცია**), რათა ფირმამ **გარიგებების შესრულებისას** უზრუნველყოს აუდიტის მიდგომის სისწორე და თანმიმდევრულობა.